საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/124
16.02.2024

ბრძანება

124-01-4-202402161425

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივლისის N04/411 ბრძანების შესაბამისად, შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო ჯარიმის დაკისრების თაობაზე

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (ამჟამად სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) 2023 წლის 16 იანვარს წარმოდგენილი იქნა მოქალაქე გ. ბ.-ის (პ/ნ _____) №01/152 განცხადება შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

1.2. „მოქალაქე გ. ბ.-ის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023წლის 6თებერვლის №04/54 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

1.3. საქმის შესწავლის დასრულებამდე, მოვაჭრემ სააგენტოს შესთავაზა პირობითი ვალდებულების აღება, რომლითაც დაევალებოდა სავაჭრო პოლიტიკის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენა, რომელთაც სავარაუდოდ, წარსულში მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის შედეგად ზიანი მიადგათ. სააგენტომ განიხილა კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით, მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები და მიიჩნია, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებდა კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, შესაბამისად, დაეთანხმა შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და „შპს „დემეს“ მიერ

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე“ 2023 წლის 28 მარტის №04/152 ბრძანებით დაასრულა მოვაჭრის მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა მოვაჭრის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე.

1.4. მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე სააგენტოსა და შპს „დემეს“ შორის გაფორმებული 2023 წლის 24 მარტის შეთანხმებით მოვაჭრეს ვალდებულებების შესასრულებლად 1 (ერთი) თვე განესაზღვრა.

1.5. ხსენებული შეთანხმების გაფორმების შემდეგ, სააგენტოს 2023 წლის 5 აპრილის №01/1137 განცხადებით, მომართა მოქალაქე ი. შ.-მა (პ/ნ _____) და ასევე მოითხოვა მისი, როგორც მომხმარებლის, დარღვეული უფლებების აღდგენა.

1.6. მოვაჭრემ თავის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებები სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არაჯეროვნად შეასრულა, კერძოდ, სრულად არ აღადგინა მომხმარებელთა დარღვეული უფლებები.

1.7. სააგენტომ „შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე საქმის შესწავლის ხელახლა დაწყების შესახებ“ 2023 წლის 12 ივლისის №04/411 ბრძანებით ხელახლა დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) მიერ კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

1.8. „სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივლისის №04/411 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 ოქტომბრის N04/693 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დადასტურდა შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) მხრიდან „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტისა და მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის ფაქტი და კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს „დემეს“ დაევალა მომხმარებელთა დარღვეული უფლებების აღდგენა და თავისი სავაჭრო პოლიტიკის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

1.9. ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „დემეს“ გაეგზავნა სააგენტოსთვის ცნობილ მისამართებზე და ელ-ფოსტაზე, თუმცა შეტყობინების მოვაჭრისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა. მოვაჭრეს

შეტყობინება აგრეთვე გაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს - სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით, თუმცა მოვაჭრე ამ შემთხვევაშიც არ გაეცნო ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებას.

1.10. ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (https://gcca.gov.ge/index.php?m=379&cat_id=103&page=3) გამოქვეყნდა 2023 წლის 6 ოქტომბერს და გადაწყვეტილება ჩაბარებულად ჩაითვალა 2023 წლის 5 დეკემბერს.

1.11. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, შპს „დემე“ ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშო დღის განმავლობაში (2024 წლის 15 იანვრის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის.

1.12. ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

1.13. რაც შეეხება იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენას, რომელთაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კანონით გათვალისწინებული უფლებები დაერღვათ, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება რომლითაც დადგინდებოდა მომხმარებელებისთვის დარღვეული უფლებების სრულად აღდგენის ფაქტი.

1.14. შპს „დემეს“ 2023 წლის წლიური ბრუნვა შეადგენს _____ ლარს.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. პროცედურის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მოვაჭრეს. თუ მოვაჭრისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ განხორციელდა ამ წესის მე-16 მუხლით დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს (01.01.2024 წლამდე გამოქვეყნებული მე-60 დღეს).

2.2. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2.3. პროცედურის მე-17 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ეკისრება ჯარიმა კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2.4. კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა.

2.5. კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

2.6. კანონის 34-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

2.7. პროცედურის მე-18 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

2.8. სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 31 აგვისტოს №04/582 ბრძანებით დამტკიცებული “მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო მოვაჭრისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის მე-2 მუხლის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს კანონის ფარგლებში და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. ამ მიზნის მისაღწევად, უზრუნველყოფს მის მიერ გამოყენებული ჯარიმის ეფექტურობას, პროპორციულობას და პრევენციულობას. ჯარიმის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მოვაჭრის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს. ამასთან, დაკისრებული ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მის კომერციულ საქმიანობას.

2.9. წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად

შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2.10. წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ დასაჯარიმებელი მოვაჭრის დაფუძნების თარიღიდან გამომდინარე, წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის დაანგარიშება შეუძლებელია, შესაბამისი ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება მოვაჭრის დაფუძნებიდან მის დაჯარიმებამდე გასული პერიოდის მიხედვით გამოანგარიშებული ბრუნვიდან. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2.11. წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოვაჭრისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა გამოითვლება სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვიდან, ხოლო, თუ მოვაჭრე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ჩაითვლება ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელი და ჯარიმის გამოთვლა განხორციელდება მოვაჭრის რეგისტრაციიდან სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში მიღებული ბრუნვიდან.

2.12. წესის მე-4 მუხლის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: დარღვევის **მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები:**

ა) დარღვევის **მასშტაბის** განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებსა (დარღვევა მოხდა ადგილობრივად თუ ქვეყნის მასშტაბით) და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება/შესაძლოა გავრცელდეს ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე);

ბ) დარღვევის **ხასიათის** განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით.

გ) დარღვევის **სიმძიმის** შეფასებისას სააგენტო ითვალისწინებს: ა) ინტენსივობას; ბ) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახეს, ოდენობას ან/და ხასიათს; გ) დაერღვათ თუ არა უფლებები მომხმარებელთა იმ ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც

უფრო მოწყვლადი არიან მათი ეკონომიკური, სოციალური სტატუსის, ცოდნის ან/და სხვა ნიშნის გამო; დ) მოვაჭრე მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად;

დ) დარღვევის **ხანგრძლივობის** განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების განგრძობადობას და იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც გრძელდებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

2.12. წესის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი განსაზღვრავს იმ დამატებით გარემოებებს, რომელსაც სააგენტო ითვალისწინებს ჯარიმის ოდენობის დადგენისას:

ა) მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით - სცადა თუ არა სამართალდარღვევის შედეგების აცილება ან/და დარღვეული უფლების ნებაყოფლობით აღდგენა;

ბ) მოვაჭრის ფინანსური მდგომარეობა;

გ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობა;

დ) მოვაჭრის ქცევა, რომლითაც იგი ცდილობს მტკიცებულებების მოსპობას ან სააგენტოსთვის საქმის შესწავლის პროცესში შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლას;

ე) მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის განმეორებითობა;

ვ) საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, შპს „დემე“ ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშო დღის განმავლობაში (2024 წლის 15 იანვრის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის.

3.2. მოვაჭრეს არ წარმოუდგენია ინფორმაცია/დოკუმენტაცია, არ მოუთხოვია ინფორმაციის წარმოდგენის ვადის გაგრძელება და არ შეუტყობინებია სააგენტოსთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოუწოდებლობის საპატიო მიზეზ(ებ)ის არსებობის თაობაზე.

3.3. კანონის 35-ე მუხლის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს

სასამართლოში. დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს ამ კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.

3.4. კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. აღსანიშნავია, რომ ბრძანების გასაჩივრების ვადა გავიდა 2024 წლის 9 იანვარს.

3.5. შპს „დემეს“ მიერ დარღვევის **მასშტაბის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებსა
- დარღვევა მოხდა ადგილობრივად (ლოკალურად, მხოლოდ ერთ რეგიონში) თუ ქვეყნის მასშტაბით და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე). სააგენტომ შპს „დემეს“ მიმართ დარღვევის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 2(ორი) განცხადების, თუმცა, მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესის საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრის კომერციული საქმიანობის ადგილი
- სარეწი მდებარეობს ქალაქ თბილისში. თუმცა, მოვაჭრე სარეკლამო კამპანიას და საქონლის შეთავაზებას აწარმოებს სხვადასხვა სოციალური ქსელის გამოყენებით. გამომდინარე აქედან, მოვაჭრეს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჰყავს პოტენციური მომხმარებელი, შესაბამისად, დადასტურებული დარღვევის მასშტაბი არ არის ადგილობრივი ხასიათის და დარღვევის შედეგები ვრცელდება ფართო წრეზე. დარღვევის მასშტაბის გათვალისწინებით, განსახილველ შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა მიზანშეწონილია განისაზღვროს მოვაჭრის 2023 წლის წლიური ბრუნვის **____ პროცენტის ოდენობით.დ**

3.6. მოვაჭრე შპს „დემეს“ მიერ დარღვევის **ხასიათის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, დარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად

უშვებდა მათ. მოცემულ შემთხვევაში, მოვაჭრე დებდა მომხმარებლებთან მომსახურების შეთანხმებას, რის შემდეგაც არღვევდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებს. გარდა ამისა, აჭიანურებდა გადახდილი თანხის დაბრუნებას. ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ერთი მომხმარებლისთვის მოვაჭრეს დღემდე არ დაუბრუნებია სრული თანხა. ამასთან, მომსახურების ხელშეკრულებით მომხმარებლებს არ მიეწოდებობა კანონით განსაზღვრულ სრული ინფორმაცია, რის შედეგადაც, მომხმარებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია თავიანთი უფლებების თაობაზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სააგენტოსა და შპს „დემეს“ შორის გაფორმებული 2023 წლის 24 მარტის შეთანხმებით, მოვაჭრემ მზაობა გამოთქვა თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონთან შესაბამისობაში მოეყვანა. მხარეთა შორის გაფორმებული პირობითი ვალდებულების აღების შესახებ შეთანხმებით განისაზღვრა ის აუცილებელი პირობები, რომლის განხორციელების ვალდებულებაც დაეკისრა მოვაჭრეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოვაჭრის მიერ არ მოხდა ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. ამდენად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებები განზრახ იქნა ჩადენილი. დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, ჯარიმის ოდენობა მიზანშეწონილია განისაზღვროს მოვაჭრის 2023 წლის წლიური ბრუნვის ___ **პროცენტის** ოდენობით.

3.7. მოვაჭრე შპს „დემეს“ მიერ დარღვევის **სიმძიმის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ინტენსივობას; ბ) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახეს (ქონებრივი); გ) ზიანის ოდენობას; დ) არიან თუ არა დაზარალებულები მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; ე) მოვაჭრე მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად.

სიმძიმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ინტენსივობის ფაქტორი. კერძოდ, მოვაჭრის მიერ არ ხდება კანონით აუცილებელი ინფორმაციის მომხმარებლისთვის მიწოდება. ასევე, ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მომხმარებლის უფლებების აღდგენა და იმის გათვალისწინებით, რომ 2022-2023 წლებში მოვაჭრის ბრუნვა აღემატებოდა _____ ლარს, სავარაუდოა, რომ მას სხვა მომხმარებლებისთვისაც დაურღვევია უფლება.

აღსანიშნავია, რომ მოვაჭრე ყიდის მომსახურებას, კერძოდ, ამზადებს (აწყობს) ავეჯს, რომლის მასალებიც შესაძლოა იყოს ძვირადღირებული, ამასთან, შეკვეთილი ავეჯის მიუღებლობა/დაგვიანებით მიღება მომხმარებელს მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს. ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით, საქმეში

წარმოდგენილი ორი მომხმარებლის მიერ მოვაჭრისთვის გადახდილი თანხა აღემატებოდა 10 000 ლარს, გარდა ამისა, ერთ-ერთი მომხმარებელი უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მასსა და მოვაჭრეს შორის დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადის დარღვევისა და ავეჯის დაუმზადებლობამ მიაყენა დიდი ოდენობის ზიანი, რადგან ვერ შეძლო საცხოვრებელი ბინის ქირავნობის უფლებით გადაცემა. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ასევე, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია ერთ-ერთი მომხმარებლისათვის უფლების აღდგენის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელსაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად უფლებები დაერღვა. აღნიშნული ადასტურებს, რომ მოვაჭრე აგრძელებს კანონის დარღვევით კომერციულ საქმიანობას, რომელიც ქონებრივ ზიანს აყენებს მომხმარებლებს. აღსანიშნავია, რომ რომ "მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი მიღებული იქნა 2022 წელს, და საქართველოს მოსახლეობის ცნობიერება ამ კუთხით საჭიროებს გაუმჯობესებას, შესაბამისად, შესაძლოა, მომხმარებლის უმეტესობა მიჩნეულ იქნას მოწყვლად მომხმარებლად. ამასთან, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები/ინფორმაცია, რომლითაც დადგინდებოდა, რომ მოვაჭრე მოქმედებდა საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან არიდების მიზნით. დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს მოვაჭრის 2023 წლის წლიური ბრუნვის ___ **პროცენტის** ოდენობით.

3.8. მოვაჭრე შპს „დემეს" მიერ დარღვევის ჩადენის **ხანგრძლივობის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს რამდენ ხანს გრძელდებოდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება (ან უმოქმედობა). სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებიდან დგინდება, რომ მოვაჭრის კანონის შეუსაბამო ქმედებები ხორციელდებოდა 2022 წლის ნოემბრიდან (განმცხადებლის უფლების დარღვევის დღიდან). ვინაიდან, მითითებულ ვადაში მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები, სავარაუდოა, რომ ის კვლავ აგრძელებს კანონდარღვევით მოქმედებას. დარღვევის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს მოვაჭრის 2023 წლის წლიური ბრუნვის ___ **პროცენტის** ოდენობით.

3.9. სააგენტო შპს „დემეს" მიერ კანონის **დარღვევის ფაქტების საქმისთვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებების** შეფასებისას, ითვალისწინებს შემდეგ

კრიტერიუმებს: ა) მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით - სცადა თუ არა სამართალდარღვევის შედეგების აცილება ან/და დარღვეული უფლების ნებაყოფლობით აღდგენა; ბ) მოვაჭრის ფინანსური მდგომარეობა; გ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობა; დ) მოვაჭრის ქცევა, რომლითაც იგი ცდილობს მტკიცებულებების მოსპობას ან სააგენტოსთვის საქმის შესწავლის პროცესში შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლას; ე) მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის განმეორებითობა; ვ) საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები. განსახილველ შემთხვევაში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქმის შესწავლის დასრულებამდე, მოვაჭრემ სააგენტოს შესთავაზა პირობითი ვალდებულების აღება, რომლითაც დაევალებოდა სავაჭრო პოლიტიკის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენა, რომელთაც სავარაუდოდ, წარსულში მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის შედეგად ზიანი მიადგათ. სააგენტომ განიხილა კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები და მიიჩნია, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, შესაბამისად, დაეთანხმა შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და „შპს „დემეს“ მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე“ 2023 წლის 28 მარტის №04/152 ბრძანებით დაასრულა მოვაჭრის მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა მოვაჭრის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე. მიუხედავად ამისა, მოვაჭრის მიერ არ მოხდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მეტიც, მოვაჭრის მხრიდან გაჭიანურდა მომხმარებლისთვის თანხის დაბრუნების პროცესი და მრავალი დაპირების მიუხედავად, დარღვეული უფლება სრულად მაინც არ აღუდგენია. გარდა ამისა, მოვაჭრემ შეწყვიტა ყველანაირი კომუნიკაცია სააგენტოსთან, არ იბარებდა წერილებს, არ პასუხობდა მასთან ელ-ფოსტით დაკავშირების მცდელობებს. განსახილველ შემთხვევაში, დარღვევის ჩამდენს - მოვაჭრეს, შეგნებული ჰქონდა თავისი უმოქმედობის სიმძიმე, მან თავდაპირველად მზაობა გამოთქვა თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონთან შესაბამისობაში მოეყვანა, და მხარეთა შორის გაფორმებული პირობითი ვალდებულების აღების შესახებ შეთანხმებით განისაზღვრა ის აუცილებელი პირობები, რომლის

განხორციელების ვალდებულებაც დაეკისრა მოვაჭრეს, თუმცა, მან თავისი უმოქმედობით უარი განაცხადა სააგენტოსთან თანამშრომლობაზე, არ წარმოადგინა არანაირი დოკუმენტაცია/მტკიცებულება. მოვაჭრის ფინანსური მდგომარეობისა და დარღვევის ფაქტის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, ჯარიმის ოდენობა მიზანშეწონილია განისაზღვროს მოვაჭრის 2023 წლის წლიური ბრუნვის ___ **პროცენტის** ოდენობით.

3.10. წესის დანართის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განმსაზღრელი ფორმულა არის:

B = N + T + L + M ± A

B – სააგენტოს მიერ დაკისრებული ჯარიმა (ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის პროცენტი).

კრიტერიუმები:

N – დარღვევის ხასიათი (ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%);

T – დარღვევის ხანგრძლივობა (ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%);

L – დარღვევის მასშტაბი (ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%);

M - დარღვევის სიმძიმე (ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%).

A – დარღვევის სხვა დადგენილი მნიშვნელოვანი გარემოებები (ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%)

3.11. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „დემესთვის“ (ს/ნ 406216349) დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობა უნდა განისაზღვროს 2 031.45 (ორი ათას ოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარით, რაც წარმოადგენს შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) 2023 წლის წლიური ბრუნვის _____ ლარის ___%-ს (_____).

4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს

კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 31 აგვისტოს №04/582 ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო მოვაჭრისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად.

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) მიერ „სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივლისის №04/411 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 ოქტომბრის N04/693 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.
2. შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) დაეკისროს ჯარიმა 2 031.45 (ორი ათას ოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარის ოდენობით.
3. მოვაჭრე ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
4. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს „სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივლისის №04/411 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 ოქტომბრის N04/693 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.
6. ბრძანება გაეგზავნოს შპს „დემეს“ (ს/ნ 406216349) და განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

